ახალი ლეგიონი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი: №57/1-180

მაისი №17 (11) ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 მაისი—ჭეპარზე ვნებული.... დღე სანუკეპარი

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა და...“

საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი თავგანწირულად იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს ურიცხვი მტრისაგან. მე-18 საუკუნის ბოლოსათვის განუწყვეტელი შემოსევებისა და შინაგანი აშლილობის გამო—ქვეყნის მდგომარეობა კატასტროფის წინაშე დადგა. ქართველი პოლიტიკოსები მაჰმადიანური საფრთხისაგან სარწმუნოებისა და ერის გადარჩენის ერთადერთ რეალურ ძალას ერთმორწმუნე რუსეთში ხედავდნენ....

თავის მხრივ ცარიზმმა მოხერხებულად ისარგებლა ქართველი ხალხის დაქსაქსულობით, უმწეო საგარეო მდგომარეობით და 1801 წელს ანექსია განახორციელა,—დაამხო ბაგრატიონების ათასწლეულოვანი ტახტი. გააუქმა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა, მოსპო ქართული ენისა და კულტურის ბატონობა, საქართველოს სახელი წაიშალა მსოფლიოს რუკიდან, „ქართველი“ „რუსის“ სინონიმად იქცა. რუსეთის კოლონიური რეჟიმის ბატონობა 117 წელს გაგრძელდა. ქართველი ერის მზე, თითქოს ნელნელა სამუდამოდ ესვენება.

მაგრამ ქართული ეროვნული სული ცხოველმყოფელი გამოდგა, ის მაინც გადაურჩა გარუსებას და როგორც ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, ქართველმა ხალხმა კვლავ აღადგინა დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო...

...1914 წელს დაწყებულმა ომმა მსოფლიო შეაზანზარა. გერმანიის ფრონტზე რუსების ჯარები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ, რამაც დიდად დააჩქარა იმპერიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი. 1917 წლის თებერვალში რომანოვების დინასტია დაემხო, ახალ ხელისუფლების ორგანიზაცია მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა იკისრეს, მეორეს მხრივ სახელმწიფო სათათბიროსაგან ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა გ. ლვოვის თავმჯდომარეობით ... პეტროგრადიდან გ. ფაღავამ დეპეშა აფრინა საქართველოში: „მთავრობაძე გარდაიცვალა, შეატყობინეთ ნათესავებს და ახლობლებს“ თბილისში ხუმრობდნენ,—რევოლუცია საქართველოში დეპეშით მოვიდაო.

დროებითი მთავრობის დამოკიდებულება კავკასიის ხალხების მიმართ სრულებით არ შეცვლილა, რუსეთი აგრძელებდა ტრადიციულ იმპერიალისტურ პოლიტიკას. მან ქვეყნის წინაშე მდგარი ვერცერთი საჭირბოროტო საკითხი ვერ გადაჭრა. ლენინმა, რომელიც ემიგრაციიდან დაბრუნდა მოუწოდა დროებითი მთავრობის დამხობისაკენ. 25 ოქტომბერს, 1917 წელს ჯარისკაცთა და მუშათა რაზმებმა იერიშით აიღეს ზამთრის სასახლე დროებითი მთავრობა დააპატიმრეს. სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. რუსეთში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ამიერკავკასიისათვის აღარავის ეცალა.

ამიერკავკასიის დემოკრატიულმა პარტიებმა მიაღწიეს შეთანხმებას შექმნილიყო კოალიციური მთავრობა, რომელიც ამიერკავკასიის ხალხების ინტერესებს დაიცავდა. ამ მიზნით 1917 წლის 21 ნოემბერს თბილისში მოწვეული იქნა ა/კ-ში მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების და სამხედრო წარმომადგენლების საერთო კრება, რომელმაც დაამტკიცა მთავრობა „ამიერკავკასიის კომისარიატის“ სახელწოდებით. მთავრობის თავმჯდომარედ ეგ. გეგეჭკორი აირჩიეს. ამ მოვლენების პარალელურად, 22 ნოემბერს თბილისის სახაზინო თეატრში შეიკრიბა ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილი: საქართველოს ვყელა კუთხის ეროვნების, სოციალური ფენის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების 250 წარმომადგენელი. ყრილობამ აირჩია „ეროვნული საბჭო“ ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. „ეროვნულმა საბჭომ“ ხელში აიღო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მომზადების საქმიანობა, ეს იყო ღირსშესანიშნავი აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე.

1918 წლის თებერვალში მოწვეული იქნა „ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც წარმოადგენდა

(დასასრული მე-2 გვ.)

შენმა სახელმა საქართველოს ცაზე ინათა.
სანთლად მიუხვალ თავდადებულ ყველა წინაპარს.

მერაბ კოსტავას!

გვაპატიოს შენმა ამაღლებულმა სულმა, ვერ გაგიფრთხილდით... თუმცა თაყვანებას ჩვენგან სიყოყხლეშივე გრძნობდი...

მარადი იქნება ეს თაყვანება ქართველებისა შენი ერისკაცობის ნინაშე.

ნაგი პილასონია

წინასაარჩევნო მარათონი_ანუ თვითმმართველობის არჩევნები შედგება

ორი ივნისი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეა. ალბათ, დამერწმუნებით, დღემდე მიდის საუბარი იმაზე, შედგება თუ არა ეგი. საერთოდ არჩევნები ალბათ შედგება, მაგრამ თუ არჩევნებამდე ჩვენს პოლიტიკურ ტემპერატურასა და „ამბიციებს“ საკვები არ გამოვდეთ და გავაკონტროლეთ, ალბათ ისევ გაღმა-გამოღმა ნაპირზე დავრჩებით, ეს კი ყველაფერზე უარესია, რამეთუ ყველას საკეთებელსა და საზრუნავს დათასი არ იყოს „ძმობის სიწმინდე ჯობია“.

შესამჩნევია——ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო მარათონი ლეჩხუმურ აზარტშია შესული——დადგა ნიჭის, უნარის, მწვავე ემოციების, ზოგჯერ სიავის, გამოკვეთის დრო. რამდენად მართვადია ეს საკითხები, მზადაა თუ არა ჩვენი მოსახლეობა და თვით საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების ჩასატარებლად, ამ და სხვა საკითხებზე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ იშრი ლარცულიანს გავესაუბრეთ:

— — — — — — —

—ბატონო იური! თქვენ, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რას ფიქრობთ, ბოლოს და ბოლოს შედგება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2 ივნისს!

—ჩვენთან, ვგულისხმობ ცაგერის რაიონის, რაიმე შემაფერხებელ მიზეზებს არჩევნების გადადებისა ნამდვილად ვერ ვხედავ. ასე რომ 2 ივნისს დანიშნული თვითმმართველობის არჩევნები შედგება.

—საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობა საკმაოდ შრომატევადია და მრავლის მომცველი. რა დონეზეა ჩვენ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)



ქალაქ ცაგერის ცენტრი. შინმოუსვლელთა განახლებული სტენდი

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა და...“

(დასასრული)

საკანონმდებლო ორგანოს. რუსეთის ბოლშეკიკები „ამიერკავკასიის კომისარიატს“ და „ამიერკავკასიის სეიმს„ უზერპატორულ ხელისუფლებად თვლიდნენ და მის დასამხობად ინტრიგებს აწყობდნენ. თავის მხრივ სეიმში თავი იჩინა პოლიტიკური პარტიების დაპირისპირებებმა: მუსავატელები, დაშნაკები, საქართველოს სოციალ-დემოკრატები ვერ შეთანხმდნენ მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში. მათი საგარეო პოლიტიკა მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეს. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი გზების გამონახვის მიზნით თბილისში, მთავრობის სასახლეში 1918 წლის 26 მაისს მოწვეული იქნა „ამიერკავკასიის სეიმი“. სხდომის დაწყებისთანავე ცხადი გახდა სეიმის დაშლის გარდაუვალობა. „ვინაიდან იმ ხალხებს შორის, რომლებმაც შექმნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ომისა და ზავის საკითხებში აღმოჩნდა აზრთა სხვაობა... სეიმი ადასტურებს ფაქტს და უარს ამბობს თავის რწმუნებაზე“,—აღნიშნული იყო სეიმის მიერ მიღებული დადგენილებაში.

იმავე დღეს, საღამოს 5 საათსა და 10 წუთზე, შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა. ამ დროისათვის ეროვნულ საბჭოს გაწეული ჰქონდა პრაქტიკული სამზადისი საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის. სხდომა გახსნა ნოე ჟორდანიამ შემდეგი განცხადებით: „ამ დარბაზში დღეს მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა, ამავე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს (იგულისხმება სეიმის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლ რესპუბლიკად გამოცხადება, შ.ც.)

...საქართველოს ახალი სახელმწიფო არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მისი მიზანია დღევანდელი. ისტორიული ქარტეხილებიდან დაიფაროს თავისთავი“...

შესავალი სიტყვა შემდეგ დამოუკიდებლობის დეკლარაციის ტექსტი წაიკითხა ზურაბაშვილმა, რომელშიც ნათქვამია: „ქართველი ხალხის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველოს საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას. მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს, განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ეროვნული საბჭო აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა დემოკრატიული რესპუბლიკა. ვ. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“...

დეკლარაციის გამოცხადებას (იგი 7 მუხლისაგან შედგება) ზღვა ხალხი უსმენდა. მან უდიდესი აღფთროვანება გამოიწვია. 117 წლის წინ დაკარგული თავისუფლების დაბრუნების ზეიმი გვიან ღამემდე გაგრძელდა. ქალაქის ეკლესიების ზარების საზეიმო გუგუნი ახალი ეპოქის დასაწყისს იუწყებოდა.

ვლასი მგელაძე მთაწმინდაზე აიჭრა, ილიას საფლავთან მოძღვარს ჩასძახა. გიხაროდენ, საქართველო თავისუფალიაო.

მაშინ რადიო არ იყო, მაგრამ სასიხარულო ცნობამ სწრაფად შეაღწია ქალაქის ქუჩებში, ეზოებში, მუხლმოულელი ახალგაზრდობა ყველგან ასწრებდა მისვლას და სასიხარულო ამბის მიტანას. თბილისელები ერთმანეთს ეხვეოდნენ, გამარჯვებას ულოცავდნენ. გამოიტანეს სამფეროვანი ეროვნული დროშები, სახელმწიფო გერბი „თეთრი გიორგი“, აჟღერდა ეროვნული ჰიმნი “დიდება“.

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას ასზე მეტმა რჩეულმა მოღვაწემ მოაწერა ხელი. მათ შორის ლეჩხუმის მკვიდრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი დამაარსებელი ალექსანდრე ასათიანი იყო.

26 მაისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ჩამოყალიბდა პირველი მთავრობა. თავმჯდომარის და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ნ. რამიშვილმა, იმავე საღამოს დეპეშით ეცნობა უცხო სახელმწიფოებს, რომ შეიქმნა საქათრველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. 24 ივნისს ნ. რამიშვილის პოსტი ნ. ჟორდანიამ დაიჭირა. ეროვნული საბჭოს ეწოდა პარლამენტი, რომელშიც ირჩევდა მთავრობას.

1918 წლის 26 მაისი უმინშვნელოვანესი და უბრწყინვალესი თარიღია საქართველოს ახალი და უახლეს ისტორიაში. შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი სუვერენული დემოკრატიული რესპუბლიკა. აღსრულდა ქართველი კაცის ოცნება თავი დაეღწია საუკუნეების განმავლობაში უუფლებო, კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნისათვის. ამ დღეიდან ქართველი ხალხი გახდა თავისი ბედის ფაქტიური ბატონ-პატრონი. შესაძლებლობა მიეცა თვითონ წარემართა თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერი და კულტურული ცხოვრება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ეპოქალური მნიშვნელობის მონაპოვარს წარმოადგენს.

ჩემო ძვირფასებო! ჩვენი ბედკრული ისტორია და წინაპართა დაღვრილი სისხლი, დღეს, როგორც არასდროს, ისე გვაფრთხილებს: გავუფრთხილდეთ თავისუფლებას, ამ სანუკვარ მონაპოვარს, ნოე ჟორდანიას სიტყვებიც რჩება ძალაში: „დღევანდელი ისტორიული ქარტეხილებიდან დავიფაროთ თავისთავი“.

ამას კი დიდი ჭკუა-გონი, და რაც ყველაზე მთავარია, სიყვარული შეგვაძლებინებს.

შალვა ცვარიანი

9 მაისი: ტკივილი, მოგონება, სიამაყე, და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო მასშტაბით აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 57-ე წლისთავი.

ლეჩხუმელ ომის ვეტერანთაგან დღეს 200-ზე ცოტა მეტი თუ შემოგვრჩა. ჩვენი გაზეთის რედაქცია სულითა და გულით ვულოცავთ მათ 9 მაისს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, მშვიდობიან ზეცას.

ომის მონაწილეთათვის თანადგომა ტრადიციულად წლევანდელ 9 მაისსაც გამოიხატა. ძალზე თბილი, ლამაზი შეხვედრები მოუწყვეს მათ ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და ცენტრალურ, სარაიონო ბიბლიოთეკაში, ქალაქ ცაგერის საკრებულოში. მოეფერენ წლებით დამძიმებულ, პატივდებულ ადამიანებს, კვლავაც თანადგომა და დახმარება აღუთქვეს.

და ამ ყველაფრის მიუხედავად, მშვენივრად გვესმის, რომ, სამწუხაროდ, უკვე თითზე ჩამოსათვლელ ამ ადამიანებს ყოველდღიური დახმარება სჭირდებათ, თანაც არა მარტო მორალური, არამედ პრაქტიკული.

შევხვდით ომისა და შრომის ვეტერანთა ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ **სარდიონ ფუტკარაძეს,** რომელსაც მივმართეთ კითხვით:

რა კეთდება ჩვენს რაიონში ომისა და შრომის ვეტერანთა დასახმარებლად, როგორ ხორციელდება მათთვის დაწესებული დახმარებები და შეღავათები, როგორც ვცდილობთ გავუხანგრძლივოთ მათ სიცოცხლე, მივანიჭოთ სიხარული.

მოვუსმინოთ მას

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული ორგანიზაცია არსებობს 1988 წლიდან. აქ შედის დიდი სამამულო ომის ვეტერანები, შრომის მედალოსნები. ავღანეთისა და აფხაზეთის ომების მონაწილენი, აგრეთე თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ოფიცრები.

მთავარი პრობლემა, რაც ვერანაირად ვერ გადავჭერით, ჩვენი დაფინანსება გახლავთ. გასულ წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჩვენი ორგანიზაციისათვის გამოიყო 3000 ლარი. აქიდან 1000 ლარი სეკვესტრში მოჰყვა. ხოლო დარჩენილი ისედაც მინიმალური თანხა ვერ ავითვისეთ.

წელს მივაღწიეთ იმას, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში 9000 ლარში ჩაგვსვეს, თუმცა აგერ უკვე ხუთი თვე გადის და ერთი თეთრიც არ მიგვიღია, თუ არ ჩავთვალოთ პირველ კვარტალში ათვისებულ 51 ლარს. რომელიც ჩვენი სამსახურის ტელეფონით მომსახურებას მოხმარდა. ალბათ, არანაირი გამართლება არ მოეძებნება ვეტერანთათვის გამოყოფილი ისედაც მიზერული თანხის აუთვისებლობას.

რაც შეეხება მთავრობიდან დაშვებულ დახმარებებსა და შეღავათებს: უნდა ხდებოდეს თითოეული ვეტერანის შეშით უზრუნველყოფა ფასის 50 პროცენტის გადახდის ფარგლებში. აგრეთვე გარდაცვლილ ვეტერანთა გასვენების ხარჯებს უნდა იხდიდეს ჩვენი ორგანიზაცია, მაგრამ...

მივაღწიეთ მხოლოდ ქალაქ ცაგერში მცხოვრები ომის ვეტერანების სატელეფონო გადასახადისაგან განთავისუფლებას.

წელს 9 მაისს დიდი ყურადღება გამოიჩინა ქალაქის საკრებულომ, მერიამ ჩვენს ვეტერანებს მოუწყო გულთბილი შეხვედრა და ტრადიციულად გადასცეს მცირე, მაგრამ სამახსოვრო საჩუქრები.

მიუხედავად პირადი დიდი ძალისხმევისა და მცდელობისა ვეტერანებს ყურადღება აკლიათ. არადა, რამდენი დადგენილება და განკარგულებაა დაშვებული ზემოდან მათ დასახმარებლად, რომლებიც პრაქტიკულად არ სრულდება.

მართლაც და თითზე ჩამოსათვლელნი არიან ვეტერანები. მათ მეტი სითბო სჭირდებათ, მეტი გულისხმიერება.

* * *

მორალურ თანადგომაზე რომ ვსაუბრობდით, ბატონმა სარდიონმა მოკრძალებით გაგვიმხილა, რომ ღირსების ორდენით დაჯილდოვდა და მას ეს ჯილდო ამ დღეებში გადასცეს.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია უერთდება ამ სიხარულს. ულოცავს საპატიო ჯილდოს **ბატონ სარდიონს** და კვლავაც მხნეობას, შემართებას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.

ეკა ყვირილიანი

შევხვდით რამდენიმე ომგადახდილს, რომელთაც მხოლოდ ერთი კითხვით მივმართეთ:

ხა იყო თქვენთვის ომი და ხა ახის დღევანდელი ე.ნ. მშვიდობა?

შალვა ცვარიანი: ეს ომი ჩვენთვის იყო ხსნის ერთადერთი გზა, რომ გადარჩენილიყო მსოფლიო ფაშიზმის მსოფლიო ბატონობისაგან. მე ვალდებული ვიყავი დამეცვა ჩვენი ქვეყანა. ეს ომი ჩვენის მხრიდან იყო სამართლიანი, თანაც გადაწყვიტა კაცობრიობის ბედი და გადაწყვიტა გამარჯვება.

დღევანდელი მართლაცდა ე.წ. მშვიდობა იგივე ომია. ქვეყანა ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაშია: დაკარგული ტერიტორიები, შიდააშლილობა, შური და გაუტანლობა...

ჩვენი ქვეყნის წარსული და ისტორია გვასწავლის:

ღმერთის, კაცისა და მიწის სიყვარული თუ გადაგვარჩენს. აი, სად არის ხსნა ერის.

ომგადახდილმა **ბრიშა ახვლედიანმა** ლექსით გამოხატა თავისი სათქმელი:

გაქანჯული და განამებული,
მხოლოდ ბოხალი, როგორც არსება——
ჩემო მამაცო, ჩემო მამაცო
ომში ნაქანჯი გეალერსება
სისხლში ვბურავდით, ფსქვეშ,
მინაზე——
ისე ვეყარეთ როგორც ნალამი——
ჩვენ რაც გადაგვხვდა, იმას თუ აღნერს
ომგადახდილი კაცის კალამი.



გაზეთის ნომერი უკვე მზად იყო, როცა რედაქციაში ლაჯანელი **თედო გოგებაშვილი** ფრონტის ხაზიდან——კოდორიდან გვესტუმრა. იგი 2001 წლის ივლისში გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ბოლო 2 თვის განმავლობაში კოდორში იმყოფებოდა, ამჟამად კი 15 დღიანი შვებულებით შინ დაბრუნდა.

——„წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო“——ამბობენ. ჩემთვის, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული ჯარისკაცისათვის, თითოეული ომგადახდილი ვეტერანი თავის ბიოგრაფიით, საომარი თავგადასავლით, მისაბაძი მაგალითია. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ დღევანდელი ახალგაზრდები თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს, იმალებიან. მესმის ამ ყველაფერს თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ... საქართველოს დაცვა თითოეული მოქალაქის ვალი უნდა იყოს. საოცარი გრძნობა გეუფლება ავტომატის გვერდით რომ იძინებ, ეს ვაუკაცობაა, სწავლაა, შენი სამშობლოს დაცვის წმიდათაწმიდა საქმეა. ფაქტია, რომ კოდორის ხეობაში მყოფი მესაზღვრეები, ჯარისკაცები და ადგილობრივი მოსახლეობა უმძიმეს საყოფაცხოვრებო და ეკონომიკურ პირობებში იმყოფებიან.

და მაინც, აუცილებელია იმ საფეხურის გავლა, რასაც სავალდებულო სამსახური ჰქვია და იმათი სიტყვები ლიტონია, ლაჩლურია, რომლებიც ამ საფეხურის გარეშე ფიქრობენ ომში წასვლას.

(დასასრული)

წინასაარჩევნო მარათონი_ანუ თვითმმართველობის არჩევნები შედგება

თან წინასაარჩევნო ორგანიზაციული საკითხები!

__როგორც იცით, საოლქო საარჩევნო კომისიას კანონის 128 მუხლის შესაბამისად ცვლილებები არ განუცდია. დაკომპლექტდა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიები__6 კომისიის წევრი (საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილ) აირჩა საოლქო კომისიაში, დანარჩენი 7 წევრი პარტიებმა დანიშნეს, სულ შექმნილია 16 საარჩევნო ოლქი და 31 საარჩევნო უბანი. თითოეული ოლქი ხუთმანდატიანია.

__რადგან სიტყვა კანდიდატებზე ჩამოვარდა__რამდენი დეპუტატობის კანდიდატი გაატარეს რეგისტრაციაში საოლქო საარჩევნო კომისიამ?

__საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა 140 საკრებულოს წევრობის კანდიდატი. აქედან 10 კანდიდატი წარდგენილია საქართველოს სოციალისტური პარტიიდან, 8 „აღორძინება XXI საუკუნე", 4-„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს". დანარჩენი კანდიდატები წარდგენილი არიან საინიციატივო ჯგუფებიდან.

__არჩევნების ჩატარების ძირითადი საფუძველი ფულია. გაქვთ თუ არა დაფინანსების წყაროები?

__დაგვიანებით, მაგრამ მაინც მივიღეთ გარკვეული რაოდენობის თანხა. ბევრი არაა, მაგრამ „ჩვენ ვეყოფით ჯამაგირს".

__არჩევნების საჯაროობა ჩვენთან თითქმის უკანა პლანზეა გადატანილი. ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ვერ ერკვევა საარჩევნო კანონის ნიუანსებში, რაც ალბათ ინფორმაციული ვაკუუმითაა გამოწვეული..

__შეიძლება ითქვას, რომ არჩევნების პროპაგანდაზე ხელი არ მიგვიწვდება. გაზეთ „ახალი ლეჩხუმი", მხოლოდ თვეში ერთხელ გამოდის, ძირითადად თვალსაჩინოების გამოფენით შემოვიფარგლებით რაიონულ ცენტრშიც და საარჩევნო ოლქებსა და უბნებშიც.

__როგორია თვით საარჩევნო კოდექსი!

__ძირითადი დავა კოდექსში მხოლოდ საუბნო კომისიების დაკომპლექტებაზე მიდიოდა, ყველა პარტიას სურდა უმრავლესობა ჰყოლოდა მასში, დანარჩენ საკითხებზე წინააღმდეგობები ფაქტიურად არც ყოფილა. რა თქმა უნდა აქვს ამ კოდექსს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ ერთიანობაში მაინც სრულყოფილია. მაგ: შესანიშნავადა გადაწყვეტილი წილისყრის, კენჭისყრის საკითხები. სიახლეა გამჭვირვალე ყუთები. ისეთი შემადგენლობაა კომისიებში, რომ გაყალბება გამორიცხულია.

__გაყალბება გამორიცხალია საუბნო კომისიებში, მაგრამ იგივე შეგიძლიათ თქვათ საოლქოზედაც?

__დიახ, აქ ნებისმიერ არჩევნებზე გამორიცხული იყო და არც წელსაა გამნაკლისი. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: დარღვევები (მცირე სპისაც კი) და გაყალბება გამორიცხულია.

__დამერწმუნეთ, ბატონო იური, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს ის პიროვნება, რომელიც თავისი კომპეტენციით, ნეიტრალური პოზიციითა და დამოკიდებულებით ყველა პროცესს სწორად უნდა წარმართავდეს. როგორ ახერხებთ ასეთ რთულ სამუშაოს თავი გაართვათ?

__ვცდილობ, ვიყო მიუკერძოებელი. ვფრთხილობ დამოკიდებულებებშიდაც... ხან გამომდის, ხან არა__როცა ერთის პრეტენზიას დაკმაყოფილებ, მეორე ღიზიანდება და ასე დაუსრულებლად. ზოგიც გიჯერებს კანონიერად რომ იქცევი, ზოგიც არა. ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ კანონით მოჭრილი ხელი არავის უნდა ეტკინოს.

მარინა სვანიძე

პრიორიტეტი: განათლების სისტემის რეფორმა

სიმპოზიუმი ცაგერში

განათლების სისტემის პრიორიტეტი: რეფორმა ჩვენი სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს. რეფორმის განსახორციელებლად მსოფლიო ბანკმა გამოყო შეღავათიანი სესხი 60 მილიონი აშშ დოლარი. ეს სახსრები მთლიანად მოხმარდება საშუალო განათლებას. „საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო კურიკულუმის შემუშავებას და დანერგვას, პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხანგრლივმოქმედი სისტემის, ახალი სახელმძღვანელოების შექმნას და სკოლების სასწავლო მასალების უზრუნველყოფას. შეიქნმა პოლიტიკისა და სტრატეგიის, აგრეთე განათლების სისტემის ინფორმაციული მართვის ჯგუფები, რომლებიც შეიმუშავებენ მექანიზმს ადმინისტრაციული ცვლილებების განსახორციელებლად. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რათა ფართო საზოგადოებას მიეწოდოთ ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

განათლების სამინისტრომ დაგეგმა ორდღიანი სიმპოზიუმები საქართველოს ყველა რეგიონში. პედაგოგთა სიმპოზიუმები უკვე გაიმართა ერთდროულად 11 რაიონში, მათ შორის ცაგერშიც. სიმპოზიუმს წარმართავდნენ კონკურსის შერჩეული პედაგოგები, რომლებმაც შესაბამისი მომზადება გაიარეს. ცაგერის რაიონში მოვლინებული ორი მწვრთნელიდან ერთ-ერთი ადგილობრივი პედაგოგი ხათუნა ბენდელიანი გახლდათ.

სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ ჩვენი რაიონის საშუალო და დაწყებითი სკოლების დირექტორები და თითო პედაგოგი, მუშაობა მიმდინარეობდა ორ ჯგუფად. მეორე ჯგუფის მუშაობას ხელმძღვანელობდა მეცნიერ მუშაკი, რუსთავის ქართული გიმნაზიის პედაგოგი ზურაბ ჯამბურია.

მწვრთნელებმა პედაგოგებს გააცნეს განათლების რეფორმა ძირითადი მიზნები და ამოცანები. შემდეგ კი მუშაობა ცოტა უჩვეულოდ და საინტერესოდ წარიმართა: პედაგოგები დაიყვნენ ქვეჯგუფებად და განიხილეს პედაგოგიური მიდგომების გაუმჯობესების გზები, შეადარეს ერთმანეთს ტრადიციული და თანამედროვე სწავლებისა და სწავლის მეთოდები. მწვრთნელებმა შესანიშნავად გაანალიზეს ჩატარებული სამუშაო და საინტერესო კომენტარები გაუკეთეს, მრავალი ახალი იდეა მიაწოდეს პედაგოგებს.

სიმპოზიუმის მეორე დღე სასკოლო გრანტების პროგრამას შეეხო. სკოლებმა კონკურსზე უნდა წარმოადგინონ სკოლის განვითარების საპროექტო წინადადებები. პროექტი განხორციელდება გრანტით, რომელიც 1000 აშშ დოლარს შეადგენს. ყველა რაიონში შეირჩევა გამარჯვებული სამი სკოლა. ამ პროგრამამ პედაგოგთა დიდი ინტერესი გამოიწვია. დაისვა უამრავი კითხვა, რომლებზეც მწვრთნელები ამომწურავად პასუხობდნენ. დღის ბოლოს სიმპოზიუმის მონაწილეებმა შეაფასეს თავიანთი ნაშრომი. მათ აღნიშნეს, რომ ჯგუფური მუშაობის პრინციპები ძალიან მოეწონათ, თვალნათლივ დაინახეს აქტიური სწავლების სიკეთე და ეცდებიან მიღებული ცოდნა და გამოცდილება დანერგონ თავიანთ სკოლებში. დიდი მადლობა გადაუხადეს მწვრთნელებს იმ ტაქტის, გულისხმიერების და პროფესიონალიზმისათვის, რაც მათ გამოავლინეს მუშაობის დროს. პედაგოგები სიმპოზიუმიდან წავიდნენ იმედით, რომ მიუხედავად უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემისა, განათლების სისტემის რეფორმა წარმატებით განხორციელდება.

მამია ბენიძე

მახაშის სკოლის პედაგოგი

---

1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღეა!

„ჰეი, ბავშვობის დღეებო"...

16 მაისს №2 საბავშვო ბაგა-ბაღში უფროსი ჯგუფის აღსაზრდელებმა (გამგე ც. მუშკუდიანი აღმზრდელები ი. ბობოხიძე, ნ. ბენიძე) ექსკურსია მოაწყვეს ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმში.

უჩვეულოდ ამწვანებულა სამაისოდ ლადოსეული ეზო-კარი. კვლავ ძალუმად ძგერს ასათიანური ჯიშისა და ჯილაგის ჯანსაღი გენი, დროსა და ჟამთა სვლას ვერაფერი დაუკლია იმ სპეტაკი სულისათვის, რასაც უმღეროდა მარად ჭაბუკად ქცეული ლეგენდა..

აგერ, ლადოსეული კაკლის ხე, დიდი ბაბუის მოვლილი საფლავი, მისი ხელშენავლები კალამი, სკამი, ჭურჭული, აგერ ბუხარიც, რომლის ღადართან, ალბათ, ბევრი ღამე გათენდა თეთრად, ჟამთასვლისაგან გაფერმკრთალებულ ფოტოსურათებს რამდენი საიდუმლო თან შეუნახავთ.

მუზეუმის ექსკურსიამძღოლს ქალბატონ ლამარა ასათიანს პატარებთან სასაუბროს აბა რა გამოულევდა. იგი მათთვის გასაგებ ენაზე უხსნიდა ლადოსა და ანიკოს, მანანასა და მედიკოს ცხოვრებას, მათ ტკივილებსა და სიხარულს.

პატარებიც არ დარჩენილან ვალში—ლადოს სულის წინაშე—ამ დღისათვის საგანგებოდ მომზადებული ლექსებითა და სიმღერებით დაამშვენეს იქაურობა და ცნობისმოყვარე თვალებით ათვალიერებდნენ იდუმალ მუზეუმს.

ქალბატონი ლამარა მათ შემოდგომამდე ასათიანების მშვენიერი ქალბატონთან—მედიკოსთან შეხვედრასაც დაჰპირდა და სამომავლო საღამოც დაიგეგმა.

ბავშვებთან ერთად აღფრთოვანებული მშობლებიც ვტოვებთ იქაურობას და ჩვენი პატარების სიხარულის შემყურეს ლადოსეული ფრაზა მოგვაცილებს:

„ჰეი, ბავშვობის დღეებო,
დაბრუნდებოდეთ ნეტავი"

მარინა სვანიძე

სპორტი

რაიონის სპორტკომიტეტის ინიციატივით

ცაგერის სპორგულ დარბაზში, რომელიც სახელოვანი აღამიანის აწგარდაცვალილი გელა ხვადაგიანის სახელს ატარებს, ჩატარდა რაიონის პირველობა ფეხბურთში ეჯთა გუნდებს შორის გელა ხვადაგიანის სახელობის თასზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ:__ლასურიამის, ჩხუტელის, მახამის, ბარდნალის, ჩქუმის, სპორტული სკოლის, ქ. ცაგერის გუნდებმა.

სპორგულ ღონისძიებაში, რომელიც ორ ქვეჯგუფში წრიული სისტემით მოეწყო ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ცაგერისა და ლასურიამის გუნდები. დაძაბული შეხვედრა ანგარიშით 2:1 მოიგო ლასურიამის გუნდმა, რომელიც დაეუფლა გ. ხვადაგიანის სახელობის გარდამავალ თასს და ფულად პრიზს.

საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა ლასურიაშელმა ირაკლი ბრეგვაძემ.

ყველაზე პერსპექტიული მოთამაშის პრიზი წილად ხვდა სპორუტლი სკოლის წარმომადგენელს ოთარ საღინაძეს.

ფრენბურთელთა შეჯიბრებამ, რომელსაც მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო, წარმოაჩინა ახალგაზრდა ფრენბურთელთა თაობა, რაც სპორგის ამ სახეობაში რაიონის მდიდარი ტრადიციების ღირსეული გაგრძელების წინაპირობად უნდა ჩაითვალოს.

ბ. კვირიკაშვილი ცაგერის რაიონის სპორტკომიტეტის თავ-რე.

ცაგერის „ხვამლი" ტრადიციას ეს ღალატობს

იმერეთის რეგიონის 2001-2002 წლის მ. მესხის სახელობის თასის გათამაშებაში 1986-87 წელს დაბადებულ მოსწავლეთა შორის ასპარეზობა დასასრულს მიუახლოვდა.

მეორე წრის ჩატარებით 9 შეხვედრიდან გუნდმა ხუთი მოგებით დაამთავრა.

დღეის მონაცემებით ჩატარებული შეხვედრების შედეგები ასეთია:

„ხვამლი"__„მემორიალი" 4:1, „მეტალურგი"__„ხვამლი" 5:1, „იმედი-2"__„ხვამლი" 1:0, „მართვე-1"__„ხვამლი" 2:0, „ხვამლი"__„მართვე" 3:0, „ხვამლი"__„მეშახტე" 3:0, „ლოკომოტივი"__„ხვამლი" 1:0 „ხვამლი"__„იმერეთი" 3:2, „კოლხიდა-86"__„ხვამლი" 4:6, ბოლო ტურის წინ „ხვამლი" წარმატებით ასრულებს დასახულ ამოცანას.

გუნდის შემადგენლობა ასეთია:

მწვრთნელი **პორფილე კოკალიანი.**

ლევან ბრეგვაძე, გიორგი სილაგაძე, გიორგი ახვლედიანი, დავით კვირიკაშვილი, ზაზა დოლაბერიძე, ნოდარ ხეცურიანი, გიორგი კვირიკაშვილი, ვასილ ნემსიწვერიძე, თემურ ახვლედიანი, ჭაბუკა ბურჯალიანი, ბექან ახვლედიანი, რუბენ კვირიკაშვილი, კახა ფუტკარაძე, ზაზა ნემსიწვერიძე მამუკა მუშკუდიანი, გიორგი ბახსოლიანი.

წარმატებას ვუსურვებთ ცაგერის „ხვამლს".

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

№1 ქ. ცაბერის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. გრიშა ჩიქოვანი—თავმჯდომარე
2. თემური ჩორგოლიანი—მოადგილე
3. ნათელა მიქაძე—მდივანი
4. კარლო ქარსელაძე
5. ციცო მანდარია
6. მაყვალა აბვლედიანი
7. რუსუდან ყურაშვილი
8. ქეთინო ბერიძე
9. იზა ჯანელიძე—სმკ
10. მარინე ბურჯალიანი—სოც. პარტია
11. თემური აბვლედიანი—ტრად. კავშირი
12. მედეა ასათიანი—ლეიბ. პარტია

№2 ალპანის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. რეზო ჯანაძე—თავმჯდომარე
2. მერაბ ფრუიძე—მოადგილე
3. სულიკო ქარსელაძე—მდივანი
4. ციცინო ურთმელიძე
5. ზაირა სილაგაძე
6. მირიან ფრუიძე
7. მაია ფრუიძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. მზია მიქაუტაძე—სმკ
9. მადონა ბერიძე—სოც. პარტია
10. გია ურთმელიძე—ტრად. კავშირი
11. მანანა ქარსელაძე—საქ. აღორძინება
12. სერნო ხვადაგიანი—ედპ

№3 ზოგიშის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. მანანა გოლეთიანი—თავმჯდომარე
2. მაია ხვადაგიანი—მოადგილე
3. ნანა ხვადაგიანი—მდივანი
4. შოთა გოქაძე
5. მზია ლაკვეხელიანი
6. თინა ორჯონიკიძე
7. ზურაბ ხვადაგიანი
8. მამუკა ხვადაგიანი—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
9. მედიკო ბიოაშვილი—სმკ
10. სერგო ხვადაგიანი—საქ. ტრად. კავშირი
11. დიომიდე ხვადაგიანი—საქ. აღორძინება
12. გია გელენიძე—ედპ

№4 საირმის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. გურამი ჭოხონელიძე—თავმჯდომარე
2. გიორგი გურგუჩიანი—მოადგილე
3. ციალა ხუციძე—მდივანი
4. ნელი ხუციძე
5. მაია ხუციძე
6. ნატო ბურჯალიანი
7. ავდიდო ხუციძე
8. დუტუ ალავიძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
9. ჯაბუ ალავიძე—ქართველ ტრად. კავშირი
10. ნარგიზა ალავიძე—საქ. აღორძინება
11. მამუკა ხუციძე—ედპ

№5 ალვის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ბონდო ჩხეტიანი—თავმჯდომარე
2. გოჩა მიქაძე—მოადგილე
3. ნანი ბობოხიძე—მდივანი
4. გია მიქაძე
5. ჯომპერ აბვლედიანი
6. მურთაზ მიქაძე
7. იმედა ჩხეტიანი
8. გაგა მიქაძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
9. ნუნუ ჯიაძე—სოც. პარტია
10. მალხაზ ჩხეტიანი—ქართვ. ტრად. კავშირი
11. ელისო ასათიანი—საქ. აღორძინება
12. თინიკო შკუბულიანი—ედპ

№6 ზუბის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ამირან ომანაძე—თავმჯდომარე
2. ზოია მანდარია—მოადგილე
3. გულნაზ მუშკუდიანი—მდივანი
4. ნუნუ მუშკუდიანი
5. ნინო ომანაძე
6. დალი ომანაძე
7. ციცო მუშკუდიანი—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. ნელი ბენიძე—სმკ
9. ლალი ჩაკვეტაძე—სოც. პარტია
10. შერმადინ ომანაძე—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. გია მამარდაშვილი—საქ. აღორძინება
12. ლევანი ჯანელიძე—ედპ

№7 ისუნდრის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ბელა ყურაშვილი—თავმჯდომარე
2. ნინო ასათიანი—მოადგილე
3. ციცო ბენიძე—მდივანი
4. მურთაზ ბენიძე
5. თამილა კუხალაშვილი
6. თამაზ კუხალაშვილი
7. ბიძინა მანდარია—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. მურად ამბროლიანი—სმკ
9. ახმედ ლიპარტელიანი—სოც.პარტია
10. ჟანა აკობიძე—ქართველ. ტრადიც. კავშირი
11. ზურაბ აკობიძე—საქ. აღორძინება

№8 ლაილაშის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ჯონი ჩორგოლიანი—თავმჯდომარე
2. მარინე ფალავანდიშვილი—მოადგილე
3. ნელი ბურჯალიანი—მდივანი
4. მაკა სილაგაძე
5. ნელი თვარაძე
6. რიტა თვარაძე
7. მურთაზ ჩაჩხიანი—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. დარეჯან კაჭკაჭაშვილი—სმკ
9. ნოდარ გაბიანი—სოც. პარტია
10. გია თვარაძე—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. ნოდარ მესხაძე—საქ. აღორძინება
12. შოთა მოწონელიძე—ედპ

№9 თაბორის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. რამაზ ქარსელაძე—თავმჯდომარე
2. მთვარისა გოქაძე—მოადგილე
3. ლილი ქარსელაძე—მდივანი
4. მზია ბაკურაძე
5. თემურ ურთმელიძე
6. დარეჯან ქარსელაძე
7. გურამ ქარსელაძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. თენგიზ ქარსელაძე—სოც. პარტია
9. ჭიჭიკო ქარსელაძე
10. თენგიზ სადილიანი—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. ანდრო ბაკურაძე—საქ. აღორძინება
12. რუსუდან ლაჭუბიანი—ედპ

№10 სურმუშის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ლია სილაგაძე—თავმჯდომარე
2. მაგული ბაკურაძე—მოადგილე
3. ჟინვერ ობოლაძე—მდივანი
4. ზურაბ ობოლაძე
5. ნაზი ობოლაძე
6. ჯუსტან კობერიძე
7. ქეთინო ჩარკვიანი—სმკ
8. მზია ბაკურაძე—სოც. პარტია
9. იზო ბაკურაძე—ქართველ ტრადიც. კავშირი
10. ჯემალ ბაკურაძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
11. ლერი ფირცხალავა—ედპ
12. ნანა ხვადაგიანი—საქ. აღორძინება

№11 ლასურიაშის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ნანი ქარსელაძე—თავმჯდომარე
2. რუსუდან კობერიძე—მოადგილე
3. ნათელა ქომეთიანი—მდივანი
4. კობა მუშკუდიანი
5. ნელი ფრუიძე
6. ნუნუ აბვლედიანი
7. სულხან ჯამბურიძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. მაია ბრეგვაძე—სმკ
9. ნინო ლაკვეხელიანი—სოც. პარტია
10. ნუნუ ბენიძე—ქართვ. ტრადიც. კავშირი
11. შამილ ბრეგვაძე—საქ. აღორძინება
12. ნიკოლოზ მუშკუდიანი—ედპ

№12 დეხვირის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ქორა აბვლედიანი—თავმჯდომარე
2. სოზარ ჭაბუკიანი—მოადგილე
3. აზა დავითულიანი—მდივანი
4. იური ბენდელიანი
5. ბესიკ ჭაბუკიანი
6. ვალერი სილაგაძე
7. ანზორ ვაწაძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. ნუგზარ ჭაბუკიანი—სმკ
9. თენგიზ ჭაბუკიანი—სოც. პარტია
10. ჯაჯუ ჭაბუკიანი—საქ. ტრადიც. კავშირი
11. ვილი ჭაბუკიანი—საქ. აღორძინება
12. ზურაბ აბვლედიანი—ედპ

№13 ბახაშის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. დარეჯან ცხვედიანი—თავმჯდომარე
2. გენადი კოპალიანი—მოადგილე
3. გულო მესხაძე—მდივანი
4. გოჩა ტვილდიანი
5. გურგენ ცხვედიანი
6. ლედი ჩხეტიანი
7. ფოთოლა ჯიაძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. მზია თაგვაძე—სმკ
9. მამუკა არდანიანი—სოც. პარტია
10. რამაზი ცხვედიანი—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. ზაურ სილაგაძე—საქ. აღორძინება
12. გიორგი მუშკუდიანი—ედპ

№14 ლუხვანის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. მაყვალა ლეთოდიანი—თავმჯდომარე
2. ფატი ჩხეტიანი—მოადგილე
3. ამირან საღინაძე—მდივანი
4. საშა ხაბულიანი
5. ინეზა ბენიძე
6. ნაირა საღინაძე
7. გოჩა საღინაძე—სმკ
8. ემზარ საღინაძე—ქართველ ტრადიც. კავშირი
9. შოთა ლეთოდიანი—საქ. აღორძინება
10. ფოთოლა ჯიაძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
11. მირიან საღინაძე—ედპ

№15 ნაკურალეშის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ემელიანე სვანიძე—თავმჯდომარე
2. გიორგი ქომეთიანი—მოადგილე
3. ნატო ღურჭუმალიძე—მდივანი
4. მურთაზ ღურჭუმალიძე
5. კახა გოლეთიანი
6. მზია აბვლედიანი
7. შაქრო ყურაშვილი—საქ. აღორძინება
8. ეთერ ხეცურიანი—ედპ

№16 სპათაბორის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ომარ სილაგაძე—თავმჯომარე
2. დალი გაბიანი—მოადგილე
3. ქეთევან სილაგაძე—მდივანი
4. თამაზ ფუტკარაძე
5. ციცო აბვლედიანი
6. ციცო გოდერიძე
7. მამუკა სილაგაძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. ვიოლეტა შეკიშვილი—სმკ
9. ზაირა გურგუჩიანი—სოც. პარტია
10. დათო ბაკურაძე—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. ნელი ბაკურაძე—საქ. აღორძინება
12. გოჩა თუთისანი—ედპ

№17 ლაჯანის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ნორა მახარობლიძე—თავმჯდომარე
2. დარეჯან მახარობლიძე—მოადგილე
3. თინა სილაგაძე—მდივანი
4. ზაურ გოლეთიანი
5. რეზო გოლეთიანი
6. ნოდარ სილაგაძე
7. ჯოტო ლეშკაშელი—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. აზა ირემაძე—სმკ
9. უსუპ ჭაბუკიანი—სოც. პარტია
10. მურთაზ ჩაჩხიანი—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. ასმათ ჩაჩხიანი—საქ. აღორძინება
12. ირაკლი სილაგაძე—ედპ

№18 ორბელის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ავდიდო ხუბუკელაშვილი—თავმჯდომარე
2. გიული გვიშიანი—მოადგილე
3. ლალი მეგრელი—მდივანი
4. ნინო ბურჯალიანი
5. მამუკა სილაგაძე
6. რუსუდან კვირკაშვილი
7. მირზა გურგუჩიანი—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. ხვიჩა სვანიძე—სმკ
9. თალიკო სილაგაძე—სოც. პარტია
10. მანანა ონიანი—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. დარეჯან მეტონიძე—საქ. აღორძინება
12. ნორა მამარდაშვილი—ედპ

№19 წილაგირის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ოთარ ფრუიძე—თავმჯდომარე
2. კახა აბაშიძე—მოადგილე
3. აზა ბურჯალიანი—მდივანი
4. მერაბ ლარცულიანი
5. ლამარა არჩვაძე
6. ნივრა ბურჯალიანი
7. ლეილა თუთისანი
8. როსტომ მინდაძე—სმკ
9. თემურ ქლიბაძე—სოც. პარტია
10. მაყვალა აბაშიძე—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. ალუდა სილაგაძე—ედპ
12. ლამარა არჩვაძე—საქ. აღორძინება

№20 ოუურეშის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ქეთინო მურცხვალაძე—თავმჯდომარე
2. ია კენჭაძე—მოადგილე
3. დარეჯან აბვლედიანი—მდივანი
4. რომან მუშკუდიანი
5. ელეონორა ჯიაძე
6. რომან მამარდაშვილი
7. მამული არჯევანიძე
8. მარგარიტა ეფაძე—ქართველ ტრადიც. კავშირი
9. გურამ მუშკუდიანი—ლეიბორისტი
10. ნანა თუთისანი—ედპ

№21 ოფიტრის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ეუეუნა მანაგაძე—თავმჯდომარე
2. მერაბ მანაგაძე—მოადგილე
3. მამუკა მამარდაშვილი—მდივანი
4. ზაურ ღაჭავა
5. იუზა მუშკუდიანი
6. თამაზ ჯიქია
7. გუგული თოთაძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. რეზო გიორგელიძე—საქ. აღორძინება
9. გურამ თვარაძე—ედპ
10. მზია მუშკუდიანი—ლეიბ. პარტ
11. ხათუნა არდარიანი—ტრადიც. კავშირი

№22 ორსვის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ლეილა გურგუჩიანი—თავმჯდომარე
2. მარად ბანძელაძე—მოადგილე
3. ხათუნა ქვარიანი—მდივანი
4. გურამ აბვლედიანი
5. ჯონი ბანძელაძე
6. მირანდა ბანძელაძე
7. ლეილა ბანძელაძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. ია აბვლედიანი—სმკ
9. სოფიკო გაბიძაშვილი—სოც. პარტია
10. რევაზ გაბიძაშვილი—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. ცირა გაბიძაშვილი—საქ. აღორძინება
12. ლეილა ქათამაძე—ედპ

№23 ტვიშის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ფილიპე ლომთაძე—თავმჯდომარე
2. ვალერი მიქაუტაძე—მოადგილე
3. გიული ლაჭუპიანი—მდივანი
4. ლედი სილაგაძე
5. ია ბანძელაძე
6. ქეთინო ჩაკვეტაძე
7. ჯემალ ნემსწვერიძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. თინათინ ლარცულიანი—სმკ
9. ნორა ბანძელაძე—ქართველ ტრადიც. კავშირი
10. ბორის ნემსიწვერიძე—სოციალისტური პარტია
11. მაკა ქვარიანი—საქ. აღორძინება
12. დარეჯან ლაკვეხელიანი—ედპ

№24 უსახელოს
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ნანული შეკიშვილი—თავმჯდომარე
2. ნანული ლეშკაშელი—მოადგილე
3. ნელი ფუტკარაძე—მდივანი
4. ოთარ გოლეთიანი
5. ნელი ლეშკაშელი
6. რუსიკო ალავიძე
7. მზეთანი სილაგაძე—მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
8. მზია სილაგაძე—სმკ
9. მურად ასათიანი—საქართველოს ტრადიც. კავშირი
10. ასლან გურული—სოც. პარტია
11. ნათელა გუგავა—საქ. აღორძინება
12. გოგი ურთმელიძე—ედპ

№25 ქვედა ცაბერის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. დავით ლეთოდიანი—თავმჯდომარე
2. ზაურ აბვლედიანი—მოადგილე
3. ნათელა კოპალიანი—მდივანი
4. ბადრი საღინაძე
5. ირა საღინაძე
6. ნანი შენგელია
7. ვენერა დაშნიანი
8. სოსო მუშკუდიანი—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
9. ელეონორა სვანიძე—სოც. პარტია
10. ტარიელ დავითულიანი—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. ბონდო კოპალიანი—საქ. აღორძინება
12. თემურ ცვარიანი—ლეიბორისტული პარტია
13. ციცო მუშკუდიანი—ედპ

№26 ღვირიშის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. რეზო ჩხეტიანი—თავმჯდომარე
2. თემურ გიორგობიანი—მოადგილე
3. მზია გიორგობიანი—მდივანი
4. ზაზა ჩხეტიანი
5. მერი ხეცურიანი
6. ნათელა ჩიქოვანი
7. გიზო გიორგობიანი—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
8. ციცო ირემაძე—სმკ
9. ლეილა ფრუიძე—სოც. პარტია
10. დათო ხეცურიანი—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. ტრისტან გუგავა—საქ. აღორძინება
12. მირზა ხეცურიანი—ლეიბ. პარტია
13. ბორის ყურაშვილი—ედპ

№27 უცხერის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ემზარ აბვლედიანი—თავმჯდომარე
2. მელორ აბვლედიანი—მოადგილე
3. ნაილი ტვილდიანი—მდივანი
4. არჩილ ნემსიწვერიძე
5. სულიკო ნემსიწვერიძე
6. თამილა ტვილდიანი
7. თათარო ნემსიწვერიძე
8. სოფო ვაჩაძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
9. ქორა უჩაძე—სმკ
10. ნაილი ნემსიწვერიძე—სოც. პარტია
11. სოზარ ნემსიწვერიძე—საქ. აღორძინება
12. გრიგოლ ნემსიწვერიძე—ედპ
13. ლალი სვანიძე—ლეიბორისტ. პარტია.

№28 ნასპერის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. გიორგი ირემაძე—თავმჯდომარე
2. ნინო თაგვაძე—მოადგილე
3. ლეილა ფუტკარაძე—მდივანი
4. მარინა სილაგაძე
5. ლოლა აბქლედიანი
6. გია გიორგობიანი
7. გია სვანიძე
8. ლია ვაჩაძე—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
9. ნანული ქომეთიანი—სმკ
10. ზაურ ირემაძე—ქართველ ტრადიც. კავშირი
11. გიგლა ვაჩაძე—საქ. აღორძინება
12. სულიკო ფუტკარაძე—ედპ

№29 წიფერჩის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ბადრი თუთისანი—თავმჯდომარე
2. მერაბ ქომეთიანი—მოადგილე
3. გულნაზ ბერიძე—მდივანი
4. ჯონი ფუტკარაძე
5. მაყვალა მეშველიანი
6. თამილა ბენდელიანი
7. კობა ჩარკვიანი
8. ვალერი სილაგაძე
9. ნინო ხეცურიანი—სმკ
10. ნორა ლარცულიანი ქართველ ტრადიც. კავშირი
11. მალვინა ეფაძე—საქ. აღორძინება
12. მაყვალა ცხვედიანი—ლეიბორისტული პარტია
13. ჯონი მეშველიანი—ედპ

№30 ჩჟუმის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. რევაზ აბვლედიანი—თავმჯდომარე
2. ჯაბული ბენდელიანი—მოადგილე
3. მარინა დავითულიანი—მდივანი
4. ალუდა თუთისანი
5. ნუგზარ მამარდაშვილი
6. მარინა ირემაძე
7. იზო ხაბულიანი—სმკ
8. კობა კოპალიანი—სოც. პარტია
9. აბელ სვანიძე—ქართველ ტრადიც, კავშირი
10. ზაზა გასვიანი—ედპ
11. ცარო სვანიძე
12. მუხრან ბენდელიანი—საქ. აღორძინება

№31 ჩხუტელის
საუბნო საარჩევნო კომისია

1. ბორის მიქაძე—თავმჯდომარე
2. ფატი ფრუიძე—მოადგილე
3. ინგა ბურჯალიანი—მოადგილე
4. ჯუმბერ კვირკაშვილი
5. იოსებ ჩარკვიანი
6. ლილი ლიპარტელიანი
7. ქორა მეშველიანი
8. მანუჩარ გუგავა
9. ბორის კვირკაშვილი—მრეწ. გადაარჩენს საქართველოს
10. აზა ჩაფრავა—სმკ
11. თემურ სილაგაძე—ქართველ ტრადიც. კავშირი
12. ირმა სვანიძე—ედპ
13, მეკლუდ მეშველიანი—ლეიბორისტური პარტია

№45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარე ი. ლარცულიანი
მდივანი: ბ. ლეთოდიანი

მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა

ნინოობის დღესასწაულს საქართველოში განსაკუთრებით აღნიშნავენ.

კაბადოკიელი ქალწული ნინო დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავად ეკუთვნოდა. იგი სახელგანთქმული მშობლების, რომის მხედართმთავრის ზაბულონის და იერუსალიმის პატრიარქის დის-სუსანას ერთადერთი ასული იყო. ნინოს აღმზრდელი—სარა ნიაფორი ქრისტიანულად ზრდიდა, უამბობდა მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების და წამების ამბავს. სარასაგან გაიგო ნინომ ისიც, თუ როგორ მოხვდა ქრისტეს კვართი იმ დროისათვის წარმართა ქვეყანაში—საქართველოში.

ამ დღიდან ნინო გულმხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც თავად ღვთისმშობელმა მოუქსოვა საყვარელ შვილს. ყოვლადწმიდამ ისმინა მისი ვედრება, სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება უფლისა იესო ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს და მე ვიქნები შენი მფარველი“. ამაზე ნეტარმა ნინომ უპასუხა: „როგორ შემიძლია, მე სუსტ ქალს, რომ ასეთი დიდი სამსახური გავუწიო ქრისტეს და რით შემიძლია ვერწმუნო ასეთი ჩვენების ჭეშმარიტებას.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ვაზის ჯვარი მისცა ნინოს და უთხრა:

„მიიღე ჯვარი ესე ფარად და მფარველად ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა“. გამოღვიძებულ ნინოს მართლაც ჯვარი ეჭირა ხელში. მან სიხარულის ცრემლებით და საკუთარი თმებით შეკრა იგი.

წმიდა ნინო ქალწულმოწამეებთან:—რიფსიმესთან, გაიანესა და მათ ორმოცდაათ თანამოღვაწეთან ერთად სომხეთში ჩავიდა. სომხეთის მეფემ რიფსიმე, გაიანე და 50 ქალწული აწამა.

წმიდა ნინოს კი უფალი სხვა ღვაწლისთვის ამზადებდა, იგი ივერიის ქრისტეს ნათლით გასანათლებლად გამოემგზავრა. ფარავნის ტბასთან მან მცხეთელი მწყემსები გაიცნო, თანამგზავრებიც იპოვა და ტანჯვა წვალებით მოადწია ქალაქ ურბნისამდე. „ვარდი და ნუში ყუაოდა მას ჟამსა“, „მთანი ჩრდილოსანი“ კი მიუხედავდ ვარდობისთვისა, “სავსენი ჩნდეს თოვლითა და ჰაერითა სასტიკითა“.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმიდა ნინოს შემოსვლას საქართველოში 1 ივნისს (ძვ. სტ. 19 მაისს) დიდი ზეიმით აღნიშნავს. თბილისის საკათედრო ტაძრიდან უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა კურთხევით იმ ბოდბეში—წმიდა ნინოს საფლავზე ჩააბრძანებენ იმ სანატრელ ვაზის ჯვარს, რომლითაც საუკუნეების უკან გაქრისტიანდა სრულიად ივერია.

ქრისტესმიერი სიყვარულით გილოცავთ ნინოობას. წმ. ნინო იყოს მფარველი, მეოხი თითოეული ჩვენგანისა უფლის წინაშე.

ვიღოცოთ, ერთმანეთი ნუ ვაკიცხოთ

ჯვარი გარდავსახოთ

თუკი თქვენი ბავშვი ავადმყოფობს, მაშინ ჩვენი გაზეთის ამ ნომრის საშუალებით მინდა შესძლებისამებრ გადმოგცეთ მართლმადიდებელი ექიმის რჩევები, რაც ჩემის აზრით, ამ „ღვთის განდგომილების“ საუკუნეში, რომელიც უფრო დაუფრო გვაახლოებს წუთისოფლის აღსასრულს, განსაკუთრებით საჭიროა ჩვენთვის.

ღმერთმა ადამიანი შექმნა თავისი ხატისამებრ და მსგავსებისამებრ. ადამიანის არსებაში შეიძლება გავარჩიოთ: ხორცი, სული და სამშვინველი, რაც ცოდვის დაცემამდე ერთიან ჰარმონიულ მთლიანობას წარმოადგენდა. ცოდვით დაცემამ გამოიწვია მისი დარღვევა. მხოლოდ მონათლულ ადამიანს, წმიდა ნათლობის მადლით, ეძლევა სულიერი ცხოვრების საშუალება, შესაძლებლობა, აღადგინოს პიროვნების დარღვეული მთლიანობა.

ხორციელი ადამიანი ყველა ადამიანურ გამოვლინებას მხოლოდ ხორციელი თვალით ხედავს. სულიერი ადამიანი კი ცდილობს სულიერი მიზეზის პოვნას. მართმადიდებელმა კარგად იცის, რომ ყველა ავადმყოფობას სულისმიერი წარმომავლობა აქვს. სულისმიერი ადამიანი მხოლოდ ასე განსჯის, ხორცისმიერი კი მარტო სასწრაფო დახმარების, წამლების, ნემსების იმედადაა. ისინი, რომ განსაზღვროთ ავადმყოფის ბუნება, აუცილებელია სულიერი ხედვა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, თუ ავადმყოფი ბავშვია მთელი მოქმედება ექიმისა და მასთან ერთად მშობლებისა, რომლებიც ბავშვს მკურნალობენ, მიმართული უნდა იყოს თითქოსდა ზემოდან ქვემოთ: სულიერად მშვინვიერისაკენ, მშვინვიერიდან ხორციელისაკენ. ამიტომ როცა ბავშვი ავად ხდება, პირველ რიგში ლოცვა უნდა ვთქვათ.

რასაკვირველია, ასეთ დროს, მშობლები დამშვიდებულები ვერ იქნებიან, იწყება მღელვარება, რაც ხშირ შემთხვევაში სამწუხაროდ, ამაო ფაციფუცში გადადის, რასაც არაფერი მოაქვს, გარდა ბავშვის შეშინებისა. ელემენტარული ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც, დამშვიდებული ბავშვი ყოველთვის შინაგანად გაწონასწორებულია ეს შინაგანი წონასწორობა ფიზიოლოგიური პროცესებისა მიმდინარეობას სხვა მიმართულებას აძლევს. ეს პროცესები სრულიად სხვაგვარად მიმდინარეობს და სასურველ მიზანსაც იძლევა. და სწორედ ამ ფაციფუცისგან გათავისუფლებაში გვეხმარება ლოცვა. ამ დროს შეიძლება მოვიქცეთ შემდეგნაირად: თუ მშობლები გრძნობენ, რომ პანიკა დაეუფლათ, ერთი წამით უნდა შეჩერდნენ, უბრალოდ, გაჩერდნენ უმოქმედოდ, მივიდნენ ხატთან, მიიკრიბონ სულიერი ძალები, ილოცონ, შემდეგ მშვიდად, წყნარად განაგრძონ საქმის კეთება.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ბავშვს ძალიან მაღალი სიცხე აქვს, ანდა მწვავე მოწამვლა, ანდა რაღაც ისეთი საფრთხე ემუქრება, რომ ყოველი წამი ძვირფასია?

მაშინაც კი, თუ ტემპერატურა უეცრად იწევს მაღლა, „უფალო შეგვიწყალენ“ ყოველთვის შეგვიძლია ვთქვათ მანამ, სანამ რაიმეს მოვიმოქმედებთ. ან სულაც, შეიძლება ვთქვათ მკურნალობასთან ერთად. საშიშროების მომენტში ეს მით უფრო საჭიროა? ანდა შეიძლება კიდევ ასეც მოვიქცეთ: ავადმყოფი ბავშვის ძმები ან დები დადგნენ ხატის წინაშე და ილოცონ, ჩვენ ბავშვს მივხედოთ. ამით თქვენი ბავშვები აღივსებიან თანაგრძნობით, ლაპარაკობენ ჩურჩულით, ყოველ დილას მიდიან ავადმყოფ ძმასა და დასთან კითხვით: „როგორ ხარ?“ ისინი უკვე გრძნობენ საკუთარ პასუხისმგებლობას მის წინაშე. და რაც მთავარია, ბავშვები იწყებენ ლოცვას თავისი ძმისა თუ დისთვის და ისიც გრძნობს ამ შეწევნას. სინამდვილეში სწორედ ასე იქნება ოჯახი როგორც ერთი მთლიანობა, როგორც ერთი სული, როგორც მცირე ეკლესია. აქედან გამომდინარე, ავადმყოფობა მხოლოდ რაღაც უსიამოვნება კი არ არის, არამედ სულიერი სკოლა ოჯახის ყველა წევრისათვის, ღვთის წვევაა, რომელიც მთელ ოჯახს ეხება. ღმერთის ოჯახში სტუმრობა ერთს ავადმყოფის სარეცელზე აწევს, სხვებს თანაგრძნობას, მორჩილებას, სიყვარულს ასწავლის. ეს აღზრდის სკოლაც არის და ურთიერთ დათმობის სკოლაც. აქ ყველაფერია, ეს მთელი სამყაროა და ამ სამყაროში ადამიანები უეცრად იცვლებიან: ყველა ილებს თავისთვის რაღაც სასარგებლოს, მშობლები—როგორც ბავშვის სულიერსა და ხორციელ კეთილდღეობაზე მეურვენი, ბავშვები იძენენ ჩვევას მოყვასზე ზრუნვისა, თანაგრძნობისა, საკუთარი სურვილები იმისადმი დაქვემდებარებისა, რაც ოჯახში ხდება. თვით ბავშვი პატარაობიდანვე ეჩვევა, რომ ხორციელი გამოვლინებანი დაუმორჩილოს სულის ცხოვრებას, რომელიც ადამიანისათვის უპირველესი უნდა იყოს, ცდილობს ილოცოს. იმის შემდეგ კი, რაც ბავშვი გამოჯანმრთელდება, ღმერთს რასაკვირველია, მადლობა უნდა შევწიროთ, რათა ბავშვებმა კარგად გააცნობიერონ, რომ უფალმა მოგვცა საშუალება ავადმყოფობისა და მოგვცა საშუალება გამოჯანმრთელებისა. ეს ყოველივე ღვთის უდიდესი წყალობაა.

ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვი ვაზიაროთ ქრისტეს წმიდა სისხლსა და ხორცს, რათა საფუძველი დავუდოთ მის მკურნალობას. წამალს, და საერთოდ ყველაფერს, რასაც ბავშვს ვაძლევთ, სასურველია ჯვარი გარდავსახოთ. კარგი იქნება, თუ ბავშვები ჯვრის მუდმივად ტარებას მიეჩვევიან. მაშინაც კი, როცა ბავშვს ვაბანავებთ, ჯვარი უნდა ეკიდოს. ზოგჯერ მშობლებს გადამეტებული შიში აქვთ ხოლმე—აქაოდა, ზონარმა ბავშვს შეიძლება რაღაც დაუშავოს, მოუშიროს, გაგუდოს და ა.შ. ასეთი შემთხვევა მართლმადიდებლობის არსებობის მანძილზე არასოდეს მომხდარა, ასე რომ, აქ ყოველვაგრი შიში უნდა უკუაგდოთ. მაცხოვრის ჯვარზე ასვლით სატანა ძლეულ იქმნა. ის ძალა, მაგრამ არ განადგურებულა, ამიტომაც ჩაგვაგონებს ჯვრის საწინააღმდეგო აზრებს. ასეთი აზრები ყოველთვის მისგან მომდინარეობს.

ოჯახი—ერთიანი სხეულია და ხშირად, სულიერი ტვირთი, რომელიც მას აწევს, ოჯახის წევრებს შორის არათანაბრადაა განაწილებული. ხდება ხოლმე, რომ ბავშვები ატარებენ მათთვის შეუფერებელ ტვირთს და საკუთარი ჯანმრთელობით ზღავენ თავიანთი მშობლების ცოდვებსა და შეცდომებს.

ზოგჯერ ადამიანები კითხვას სვამენ: რატომ იტანჯებიან ბავშვები? ჩვენ, გასაგებია,—ცოდვები ვართ... ეს იყო, სხვათა შორის, დოსტოევსკის ერთ-ერთი მთავარი კითხვა. გავიხსენოთ „ძმები კარამაზოვები“. ადამიანური სამართლიანობის თვალთახედვიდან ეს საკითხი გადაუჭრელია, მასზე პასუხის გაცემა მხოლოდ მარადიულობის პერსპექტივაში, ღვთის განგებულების გათვალისწინებითაა შესაძლებელი. დოსტოევსკი ამას მხოლოდ საკუთარი შვილის გარდაცვალების შემდეგ მიხვდა, როდესაც ნუგეშის მისაღებად ოპტინის უდაბნოში გაემგზავრა და ამბროსი ბერს ესაუბრა, ხოლო უდანაშაულოთა ტანჯვის სულიერი აზრი საბოლოოდ მხოლოდ საკუთარი გარდაცვალების წინ შეიცნო...

ავადმყოფი ბავშვები თავის თავზე იღებენ ტანჯვის, მოწამეობის და სალოსობის ჯვარს იმისთვის, რომ უფალი ბოლომდე არ განურისხდეს ამ სამყაროს და ჩვენ, ალბათ, მათი წყალობითა გვაქვს ჯერ კიდევ დრო მოსანანიებლად, მაგრამ ჩვენი უნანელი ცხოვრების წესის გამო, ჩვენი ჩვევის გამო—არ ვიფიქროთ საკუთარ ცოდვაზე, არამედ ის ვიღაც სხვას გადავაბრალოთ, ამას ვერ ვგრძნობთ.

და აი, იწყება დრტვინვა: თუ ღმერთი სამართლიანია, როგორ უმვებს ბავშვების ტანჯვას?!

დიახ, ღმერთი სამართლიანია, იგი ცოდვას არ გვასწავლის. იგი მოგვწოდებს „იყვნით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათაი სრულ არს“. (მათე 5,48)

ჩვენ რომ ქრისტეს ჯვარს შევეურებდეთ და მთელ ჩვენ ცხოვრებას მას ვუფარდებდეთ, ჩვენთვის არ იქნება რთული, გაგვეცა პასუხი კითხვაზე, რატომ იტანჯებიან ბავშვები? რის გამო იტანჯება თავად მაცხოვარი? ის ხომ უცოდველია. ამქვეყნად დაბადებულ ყოველ ბავშვს პირველქმნილი ცოდვის დაღი აზის, ხოლო უფალს ესეც არ ჰქონდა. იგი-ნებისმიერი ბავშვზე უფრო წმინდა—იტანჯებიან ბავშვები ჩვენი ცოდვების გამო; იმის გამო, რომ არ ვზრუნავთ არც საკუთარი და არც მათი სულების ცხონებაზე. ჩვენი, როგორც მშობლების, ამოცანა მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შვილების ფიზიკური არსებობა უზრუნველყოთ, არამედ, პირველ რიგში სულიერად აღვზარდოთ ისინი, გავუხსნათ მათ ღვთისკენ მიმავალი გზა. აი, მაცხოვრის სიტყვები: „აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა, და ნუ აკენებთ მათ“ (მათე 19,34)

თუ ჩვენ არ დაგვყავს ბავშვები ეკლესიაში, არ ვასწავლით ლოცვას, თუ შინ არა გვაქვს სახარება, ხატები, არ ვცდილობთ ღვთისმოსაობით ვიცხოროთ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვაბრკოლებთ მათ, ხელს ვუშლით მივიდნენ ქრისტესთან. და ეს არის ჩვენი უმთავრესი ცოდვა, რომელიც ჩვენს ბავშვებზეც გადადის.

ეკატერინე ბენდელიანი

ნელოვნება მოითხოვს? პროგლემებსაც უმკლავდებიან...

სადაც მუსიკა იწყება, იქ სიტყვა წყდება—ნათქვამია, მუსიკა ხელოვნების ის დარგია, რომელიც საზოგადოების ყველა ფენისათვის იოლად გასაგები და საყვარელია. ჩვენს რაიონში მუსიკალურ ამინდს ცაგერის სამუსიკო სკოლის პედაგოგები ქმნიან, თითოეული მათგანი ხომ მოჭარბებული ენთუზიაზმითაა სავსე.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ვესტუმრეთ სწორედ ცაგერის ერთადერთ სამუსიკო სკოლას, სადაც მეოთხე—მეხუთეკლასის მოსწავლეები

ლამაზ საღამოს მართავდნენ მუსიკალური ლიტერატურის პედაგოგის, ქალბატონ იზა ხეცურიანის ხელმძღვანელობით.

გაეცნოთ ჩვენთვის დიდი იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის ცხოვრება და მოღვაწეობა—აი საღამოს იდეაც.

„ჩვენი შეხვედრა პირველი მცდელობაა იმისა, ფართო მასშტაბით გაზიაროთ დიდ ხელოვნებას.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს მშობლიურ კუთხეში მუსიკალური ხელოვნების განვითარება და წინსვლა დაკავშირებულია ბატონი მექი ყურაშვილისა და მისი ქალიშვილის, სკოლის ახლანდელი დირექტორის ქალბატონ რუსუდან ყურაშვილის სახელებთან, მათ შემაყვარეს მუსიკა და მათი დამსახურებაა, რომ მუსიკალურ ხელოვნებას ვემსახურები“ აღნიშნა ქალბატონმა იზამ შესავალ სიტყვაში.

პატარებმა ისეთი არტისტიზმით, ღრმა ცოდნითა და შემართებით, თანაც ვერდის უკვდავი მუსიკის თანხლებით წარმოგვიდგინეს ამ დიდი კომპოზიტორის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომ თითოეული წვრილმანი მათთვის კი არა, ჩვენთვის დაუვიწყარი გახადეს. „ციდა“, „რიგოლეტო“, ტრუბადური“, „ტრავიატა“, „დონ კარლოსი“, „ერნანი“, „მაკბეტი“, აი იმ ოპერათა ნუსხა, რომელთა შექმნის ისტორიას და შინაარსებს გავეცანით.

საღამოს დასრულების შემდეგ ცოტა ხნით შევყოვნდით პედაგოგებთან სასაუბროდ.

„იზა ხეცურიანი გამოირჩევა შემოქმედებითი აქტიურობით, ხშირად ატარებს ღია გაკვეთილებს, ზედმეტად იტვირთება პროგრამის მიღმა, მისი დამსახურებაა ის ღელვისა და აღფრთოვანების თვალები, დღეს რომ ბავშვებს ჰქონდათ“—ასე შეაფასა რუსუდან ყურაშვილმა მისი მუშაობა.

„ყველაფერი არაჩვეულებრივად ჩატარდა, ჩვენ, მუსიკის პედაგოგებს ძალიან ბევრი მოგვეთხოვება, მთავარი განწყობაა, ასე რომ, ყველანაირ ცუდ ხასიათს შინ ვტოვებთ. ბავშვებს პატარა ნიუანსი, თუნდაც სამკაულიც კი არ რჩებათ შეუმჩნეველი, ჩვენ ვითვალისწინებთ ყოველივეს—თქვა სამუსიკო სკოლის დირექტორის მოადგილემ, ქალბატონმა ნარგიზა ალავიძემ, რომელსაც იქვე გადაჭარბებით ქალური ვუწოდეთ.

„ბავშვები დღეს ერთიორად გაზრდილნი, ამაყნი წავიდნენ აქედან. მიუხედავად სიძნელეებისა, პედაგოგები მათ პრობლემებს არ უქმნიან, შედეგიც სახეზეა“—ასეთი გახლდათ კულტურის განყოფილების გამგის დათო სანთელაძის აზრი.

„ჩემი აზრით მათ თქვეს ის, რაც უნდა ეთქვათ, თუ მსმენელამდისაც ასევე მიიტანეს, მე ბედნიერი ვარ. ეს საღამო არც უკანასკნელი იქნება და არც გამონაკლისი. დღეს ჯუზეპე ვერდი შემთხვევით არ ამირჩევია, ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორებმა, თუნდაც ზაქარია ფალიაშვილმა და მელიტონ ბალანჩივაძემ სტაჟირება ლა-სკალაში გაიარეს, ისინი ვერდის მუსიკაზე ჩამოყალიბდნენ.

ჩემთვის სამსახურში მოსვლა დიდი სიამოვნებაა, ის განწყობა, რაც აქ მექმნება, მეორე დღემდე მავსებს და მყოფნის—გვითხრა ქალბატონმა იზამ.

პედაგოგებს დალხინებული ყოფა-ცხოვრება არა აქვთ, ასე რომ, პრობლემებზეც ვისაუბრეთ, თუმც რა გითხრათ, გადაჭრის იმედი ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ მაინც „ხმით მღაღადებლით“ გეტყვით, რომ მუსიკაულრი სკოლა მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია, ბათქაში ყოველდღე ცვივა, სახურავი უვარგისია, ღმერთმა გვაშოროს მცირედი მიწისძვრაც კი, თორემ... პედაგოგებს უმთავრესად უინსტრუმენტობა აწუხებთ, ძველმა ინსტრუმენტებმა მათ დრო ამოწურეს, ახალი კი არსად ჩანს, გვითხრეს, აწყობითაც კი არ აწყობილაო პიანინოები და როიალი ხანგრძლივი დროის მანძილზე, პირველი აქ ამწყობის შტატი შემცირებულა, შტატი რომელიც ესოდენ სასიცოცხლოა.

მიუხედავად პრობლემებისა, მუსიკოსებმა ჩვენი გამხიარულება სცადეს, ან როგორ შეიძლება მათთან სასიამოვნო განწყობა არ შეგექმნას, ისინი ხომ იუმორის გრძნობითაც უხვად არიან დაჯილდოებულნი, ასე რომ, ცოტა ხნის შეყოვნებულები კარგა ხანს შემოვრჩით. ინსტრუმენტს ქალბატონი რუსუდანი და ქალბატონი ნარგიზა რიგრიგობით მიუსხდნენ, მათ შორის მხიარული და კეთილგანწყობილი პაექრობაც კი გაიმართა, პაექრობა, რომელიც მხოლოდ გამარჯვებულებს ავლენდა, დანარჩენმა პედაგოგებმა ხმები შემოაშველეს, ამ დროს ისე იოლი იყო სიმღერა ჩვენც კი ავმღერდით.

ათწლეულების წინ ნოდარ დუმბაძემ ილიკო ჩიგოგიძეს შეყვარებული ზურიკელასთვის ათქმევინა „თუ ქვეყანა ინგრევა, რა გიხარია, შე უპატრონო“. სამიჯნურო სიყვარული ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია, თორემ ანალოგიურ სიტუაციაში აღმოვჩნდი, ირგვლივ ამდენი პრობლემა იყო, ჭერი ლამის თავზე გვენგრეოდა სკოლის დრომოჭმულ შენობაში, მაგრამ მე მიხაროდა, მიხაროდა რომ ვიყავი ამ ადამიანების გვერდით, და ისინი მღეროდნენ ჩვენთვის, სულგანაბულებს რომ უნდა მოგვესმინა.

თამარ დავითულიანი

კიდევ ერთი სამადლობელი

ცაგერის მრავალდარგოვან კოლეჯში 1999 წლიდან მედდის სპეციალობის მიმღები კურსები დაიშვა. ეს სიახლე ადგილობრივი ტელევიზიის საშუალებითაც კი ეცნობა ჩვენს მოსახლეობას. ამ სასწავლებლის დირექტორმა ბაგონმა ჯიბილო მიქაძემ იმხანად დიდი დახმარება გაგვიწია და ჩვენც ამ სპეციალობის დაუფლებას შევუდექით. სწავლება მთელი სამი წლის მანძილზე მიმდინარეობდა, მაგრამ ამის შემდეგ რომ იგყვიან ყველაფერი აირ-დაირია: ქ. თბილისიდან ჩამოსულმა კომისიამ იმის საბაბით, რომ სასწავლებელს ნებართვა არ ჰქონდა აღნიშნულ სპეციალობაზე, თავიდან მოითხოვა სახელმწიფო გამოცდების ჩაგარება.

სად არ ვიარეთ 6 თვის მანძილზე დირექტორიდან გამგებელთან, გამგებლიდან ისევ დირექტორთან, მაგრამ უშედეგოდ, სწორი გზა და პასუხი ვერსად მოვნახეთ. მიუხედავად მრავალთა წინააღმდეგობებისა ორი მშობელი თბილისში პარლამენტის დეპუტატს, ბატონ კარლო მუშკუდიანს ვეახლეთ. მან მართლაც უდიდესი დახმარება გაგვიწია, გვერდით ამოგვიდგა და მრავალთვიანი „მარათონიც“ დასრულდა—კურსდამთავრებულებმა დიპლომები მივიღეთ.

ეს წერილიც თქვენს სამადლობლად გვინდოდა ბატონო დეპუტატო.

დიდი მადლობა გულისხმიერებისათვის.

ცაგერის მრავალდარგოვანი კოლეჯის მედდის კურსების კურსდამთავრებულნი და მშობლები

სპორტი

თბილისში ჩატარდა საქართველოს ჭიდაობის რეზერვების სასწავლებლის ღია პირველობა ჭაბუკთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რაიონის ნაკრებმა. (გუნდმა მწვრთნელი: სპორტის ოსტატი ალუდა სილაგაძე).

ჩვენმა მოჭიდავეებმა წარმატებას მიაღწიეს და მოიპოვეს მეორე-მესამე საპრიზო ადგილები.

წონითი კატეგორიების მიხედვით პრიზიორები გახდნენ:

ვალხაგ მახარობლიძე (ლაჯანის საშუალო სკოლა)

თორნიკე ბურჯალიანი (ორბელის სამუალო სკოლა)

ვულოცავთ ჭაბუკ მოჭიდავეებს და მათ მწვრთნელს ამ წარმატებას.



ზურაბ ვლადიმერის ძე დაშნიანი

როგორ დააკლდა ლეჩხუმს ერთი პატიოსანი კაცი, საუკეთესო სპეციალისტი, კარგი ოჯახის მამა და კარგი მოქალაქე.

ზურაბ ვლადიმერის ძე დაშნიანს ჯერაც ბევრი შეეძლო მშობლიური კუთხის, ოჯახისა და მახლობელთა სასარგებლოდ.

შრომითი საქმიანობა ახალგაზრდა ფინანსისტმა ადრიანად დაიწყო. 1946 წლიდან მოყოლებული იგი მუშაობდა ჯერ საფინანსო განყოფილების ბიუჯეტის უფროს ინსპექტორად, შემდეგ რაიონის საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილედ, 1971 წლიდან 1986 წლამდე კი საფინანსო განყოფილების გამგედ.

ხელმძღვანელის თანამდებობაზე განსაკუთრებით გამოვლინდა მისი ორგანიზატორული უნარი, ადამიანებთან, კოლექტივთან ურთიერთობის ნიჭი, მისი კომპეტენცია, ობიექტურობა და რაც მთავარია საფინანსო დისციპლინისადმი დამოკიდებულება.

1990 წლიდან 1999 წლამდე ბატონი ზურაბ დაშნიანი ცაგერის საგადასახო ინსპექციაში მუშაობდა ინსპექტორად და აქაც ჩვეული პასუხისმგებლობით, ცოდნითა და გამოცდილებით აკეთებდა თავის საბმეს.

თავმდაბალი, ლამაზი სულის კაცი გახლდათ. დღენიადაგ ვიგონებთ, მშობლიურ კოლექტივში, დღენიადაგ სიყვარულს და პატივს მივაგებთ მის ხსოვნას, მის ნათელ კაცობას.

სამწუხაროდ, მეტი რა შეგვიძლია.

ცაგერის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები

ოთარ კოპალიანი

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს აგრარული განათლების მრავალრიცხოვან სპეციალისტთა რიგებს გამოაკლდა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ქართული აგრარული განათლების დიდი მოამაგე, საქართველოს დამსახურებელი მასწავლებელი, ღირსების ორდენის კავალერი ოთარ პანთენის ძე კოპალიანი.

ბაგონი ოთარ კოპალიანი დაიბადა 1929 წელს, ცაგერის რაიონის სოფელ ღუხვანოში. აქვე მიიღო სამუალო განათლება, დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნო ინსტიტუტის ეკონომიკა—ორგანიზაციის ფაკულტეტი. მოგვიანებით კი მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის და მინსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიები. უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი მუშაობდა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებლად. 1973 წლიდან ბაგონი ოთარ კოპალიანი დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განათლების მთავარ სამმართველოში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. შემდგომში მუშაობდა სამმართველოს უფროსის მოადგილედ. სასწავლო მეთოდური კაბინეტის დირექტორად, ხოლო სიცოცხლის ბოლომდე—მეცნიერებისა და განათლების სამმართველოს მთავარ სპეციალისტად. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დიდია ბატონ ოთარ კოპალიანის ღვაწლი აგრარული განათლების წინაშე. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი მოახმარა სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების კეთილშობილურ საქმეს.

შესანიშნავი მამულიშვილის, უღალატო მეგობრის, დიდებული სპეციალისტის ხსოვნა მარად დარჩება მისი ოჯახის, მეგობრების და ახლობლების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

გილოცავთ!

თინათინ ყურაშვილს!

დიდი სიყვარულით გილოცავთ იუბილეს. დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს გისურვებთ.

ეკა ბენდელიანი, თემურ ჩაკვეტაძე, მარიკა, თამთა ყვირილიანები, თინიკო ლიპარტელიანი, ნათია კალანდაძე.

❀❀❀

ქალბატონ **თინათინ კონსტანტინეს ასულ ყურაშვილს!**

მოგილოცავთ დაბადების დღეს. დიდხანს გეტარებინოთ ქართველქალობის ღირსება.

კარლო აკაკის ძე მუშკუდიანი ოჯახით

❀❀❀

ლეილა გურგუჩიანს!

ჩვენო მშვენიერო ქალბატონო!
გაზაფხულიდან ერთად შემოდის შენი დაბადების დღე. გილოცავთ!
ქალური ბედნიერება ნუ მოგაკლოთ მაღალმა ღმერთმა!

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია

❀❀❀

ლეილა გურგუჩიანს!

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერ და ქალურ წლებს. მრავალჟამიერ.

ნანო და ნინი დაშნიანები

❀❀❀

ალუდა ზურაბიანს!

გილოცავ შინაარსიანად გატარებულ წელთა სიმრავლეს. დიდხანს იყავი ჩვენი ლეჩხუმის იმედად.

კარლო აკაკის ძე მუშკუდიანი ოჯახით

❀❀❀

იზო ბობოხიძეს!

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის შესრულებას. გსურვებთ ჯანმრთელ, დღეგრძელ, წარმატებებით სავსე ცხოვრებას თქვენი ლამაზი, სავსე ოჯახით.

ლაშა, ლელა, ლანა ბურჯალიანები; ლიკა, გიორგი ხუხიები

მედიკო, გივი ახვლედიანებს!

გილოცავთ შვილების—მერაბისა და ნინოს ბედნიერებას. ღმერთი ფარავდეს თქვენს ლამაზ ოჯახს.

ლაშა ბურჯალიანი, როსტომ მუშკუდიანი ოჯახებით.

❀❀❀

მაყვალა, კუკური ხეცურიანებს!

გილოცავთ შვილების ზურიკოსა და ნინოს ბედნიერებას. დაგბედებოდეთ სიმრავლე.

ლაშა ბურჯალიანი ოჯახით

❀❀❀

ბებო!

გილოცავ დაბადების დღეს. გეხვევი, გკოცნი, მიყვარხარ!

შენი ონისე

❀❀❀

თინათინ კონსტანტინეს ასულ ყურაშვილს!

სულითა და გულით გილოცავთ იუბილეს. სიდარბაისლეს დაგილოცავთ, მხნეობას თქვენსას, კვლავაც დიდხანს გეტარებინოთ!

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია.

❀❀❀

მზია სილაგაძეს ვასო კოპალიანს!

გილოცავთ შეუღლებას. სიყვარულით გევლოს სიცოცხლის ბოლომდე!

მერი შკუბულიანი

❀❀❀

ალუდა ზურაბიანს!

გილოცავთ 60 წლის იუბილეს. დიდხანს, დიდხანს მდგარიყოთ ლეჩხუმელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფარად.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის რედაქცია

მურთაგ დაშნიანი

სამუდამო სასუფეველის დასამკვიდრებლად წავიდა ჩვენგან ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, გულისხმიერი, სიკეთით სავსე პიროვნება, რესპუბლიკის დამსახურებული ქორეოგრაფი მურთაგ დაშნიანი.

ბაგონი მურთაგი წლების მანძილზე მუშაობდა ცაგერის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელად, გახლდათ უმომოდ შეყვარებული თავის პროფესიაგე. მისთვის ცეკვა სიცოცხლის გოლფასი იყო, სცენა-სურვილების, ოცნებების ასრულების ადგილი, საშუალება და დიდი დღესასწაული. იგი დაუღალავად იბრძოდა. შრომოდა ქართული ქორეოგრაფიის დასაცავად პაგარა, ლამაგ ქალაქში.

თავს მოვალედ ვთვლით, დიდი სიყვარულითა და უღრმესი პაგივისცემით გავიხსენოთ ადამიანი, რომელიც სულ სიკეთეს თესავდა.

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთი ავტორიტეტული ქორეოგრაფის დამსახურება აღნიშნული იყო სახელმწიფო ჯილდოებით და რა თქმა უნდა, საყოველთაო პაგივისცემითა და სიყვარულით.

იგი არაჩვეულებრივი ენერგიის, მკაცრი და პუნქტუალური მუშაობაში, გულღია და კოლეგიალური იყო ადამიანებთან ურთიერთობაში.

მურთაგ დაშნიანის სახელი სამუდამოდ დარჩება ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში, ლეჩხუმელი ხალხისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეების მეხსიერებაში.

ცაგერის რაიონის საკრებულო ცაგერის რაიონის გამგეობა

ნანა, ნათია, თეა, ანა, თემურ, ლევან, როსტომ, აკაკი ზურაბიანები თანაუგრძნობენ შაქრო შკუბულიანების ოჯახს

ბუჭა როინის ძე ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ეგნატე ზურაბიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

თენგიგ კვირიკაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზურაბ სვანაძე, თემურ ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ინგა და გუჯუ სვანიძეებს მამისა და სიმამრის

ბუჭუ თოთაძის

გარდაცვალების გამო

ჯონი ყვირილიანი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ჭირისუფალს

ქორა ჩაჩხიანის

გარდაცვალების გამო

რედაქცია მადლობას უხდის პოლიციისა და ავტოინსპექციის მესვეურებს თანადგომისათვის

რედაქტორი თამარ დავითულიანი	პასუხისმგებელი მდივანი მზეზინარ ძნელაძე	სარედაქციო კოლეგია: ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი.	მისამართი: ცაგერი, რუსთაველის №47. ტელ: 22-86	გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის ვ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში“ ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33 ტელ:7-07-80, 7-34-99